

ტაბლოზეა მხოლოდ “ჩელებაძე”...

“დინამო” (თბილისი) – “ქაირათი” (ალმა–ათა) – 3:0 (0:0).

თბილისი. ვ.ი. ლენინის სახელობის “დინამოს” სტადიონი. 7 აპრილი.

“დინამო”: გაბელია, კოსტავა, ჩივაძე, სულაქველიძე, ჭილაია, კაკილაშვილი (ქორიძე), მ. მაჩაიძე, კოპალეიშვილი (ჯოხაძე), გუცაევი, ყიფიანი, ჩელებაძე.

“ქაირათი”: უბიკინი, შადიევი, ზენკოვი, ბაიშაკოვი, გოსტენინი, ნიკოტენკო (ბულგაკოვი), შოხი (მაქსუდოვი), გლადილინი, შტრომბერგერი, ილინი, ფეხლევანიდი.

მსაჯი: ვ. ლიპატოვი (მოსკოვი).

გაფრთხილებულია ილინი.

დუბლიორები – 0:0.

“სტაჟიან” გულშემატკივრებს, ალბათ, კარგად ახსოვთ თბილისის “დინამოს” ძველი თაობის ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენელი, მარჯვენა მცველი, სპორტის ოსტატი კუკო ფეხლევანიდი. ეს ტექნიკური ფეხბურთელი საიმედოდ დარაჯობდა ჩვენი კარის მისადგომებს.

მაგრამ რა კავშირი აქვს მას სარეცენზიო მატჩთან? საქმე ის კი არ არის, რომ ამ ვეტერან ფეხბურთელს გუშინ სტადიონზე საზეიმოდ გადასცეს საქართველოს სპორტკომიტეტის სიგელი და ფასიანი საჩუქარი, არამედ ისიც, რომ მისი ვაჟი – 19 წლის ესტატე ფეხლევანიდი თბილისელმა გულშემატკივრებმა გუშინ კვლავ იხილეს “ქაირათის” შემადგენლობაში.

– მართალი გითხრათ, მიძნელდებოდა ამ ორთაბრძოლის ცქერა. ორივე ჩემი გუნდია და ამიტომ თავიდანვე გადავწყვიტე “დინამოსთვისაც” და “ქაირათისთვისაც” ერთდროულად მექომაგა, მაგრამ ბოლოს მაინც თბილისელების სიყვარულმა გადაძლია – გვითხრა კ. ფეხლევანიდმა, როდესაც ვთხოვთ აზრი გამოეთქვა განვლილ მატჩზე. – დინამოელები, რომლებსაც, სიტყვამ მოიტანა და, ახლა საუცხოო სტადიონი აქვთ, აშკარად ჯობდნენ მეტოქეს ტექნიკითაც და ტაქტიკურადაც. განსაკუთრებით მომეწონა ჩივაძე, კოსტავა და გუნდის კაპიტანი მაჩაიძე, რაც ეხება “ქაირათს”, ის ახალგაზრდული გუდნია, სანახევროდ ახალბედებითაა დაკომპლექტებული. ვგრძნობ, ჩემი ვაჟის შესახებაც გსურთ გიპასუხოთ – ესტატეს დღევანდელი თამაშით უკმაყოფილო ვარ, ეტყობა, ზედმეტად ღელავდა. ისე კი სულ 3 თვეა, რაც “ქაირათში” გადმოიყვანეს ჩიმკენტის “მეტალურგიდან” და მინდა ვიფიქრო, ყველაფერი ჯერ კიდევ წინა აქვს.

არ შეიძლება არ დაეთნებო ვეტერანს. “დინამო” ამჯერადაც აშკარად სჯობდა მეტოქეს თამაშის ყველა კომპონენტში, მასპინძლები უტევდნენ მთელი გუნდით, სტუმრები ასევე მთელი გუნდით იცავდნენ თავს. იერიში მიჰქონდათ მაჩაიძეს, გუცაევს, ყიფიანს, კოპალეიშვილს, მცველებსაც – კოსტავას, ჭილაიას, ჩივაძეს... მაგრამ რა: გოლი არა და არ ჩანდა – თითქოს მინსკის “ვარინატი” უნდა გამეორებულიყო!

შესვენების შემდეგ თბილისელებმა იგრძნეს რა, რომ უძნელდებოდათ მეტოქის საჯარიმოში შესვლა, შორიდან დაიწყეს ქაირათელთა კარის დაბომბვა, რაც უდაოდ სწორი გადაწყვეტილება იყო.

მატჩის 56-ე წუთზე კოსტავამ კვლავ “მოინახულა” მეტოქის საჯარიმო, ჩააწოდა ბურთი კართან და ჩელებაძემ ჩემპიონატის პირველი გოლი გაიტანა ჩვენს სტადიონზე.

ამ დღეს ელექტროტაბლოზე სამჯერ აინთო ჩელებაძის გვარი. თბილისელთა ბომბარდირმა 58-ე და 84-ე წუთებზე კიდევ ორი ბურთი გაიტანა პენალტით და სეზონის პირველი “ჰეთ-თრიკი” ჩაიწერა აქტივში.

ო. ნოზაძე.
“ლელო”, 8 აპრილი, 1980 წ.